



ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ
მოქალაქის გზამკვლევი

2023 წელი

2022 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე მოზიდული იქნა 39492,9 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 38441,6 ათასი ლარისა ანუ 103 პროცენტი. აქედან: სახელმწიფო ბიუჯეტიდან 11750,1 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან 27742,8 ათასი ლარი.

საბიუჯეტო შემოსულობებიდან საგადასახადო შემოსავლებმა 23368,9 ათასი ლარი შეადგინა, ნაცვლად გეგმიური 23142,0 ათასი ლარისა ანუ 101 პროცენტი. აქედან:საწარმოთა ქონების გადასახადი 2971,5 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 91 პროცენტი,უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 689,9 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 102 პროცენტი.ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 41,4 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 15,0 ათასი ლარისა.სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 138,1 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 172 პროცენტი,არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 1685,7 ათასი ლარი ანუ გეგმიურთან მიმართებაში 238,7 ათასი ლარით მეტი.დამატებითი ღირებულების გადასახადი 17842,2 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 101 პროცენტი.

გრანტების სახით მოზიდულია 12015,1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 11024,8 ათასი ლარისა ანუ 99,3 ათასი ლარით მეტი. აქედან: მიზნობრივი ტრანსფერი (მოსწავლეთა ტრანსპორტირება) 1202,4 ათასი ლარი;მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული 265,0 ათასი ლარი;სპეცტრანსფერი (სკოლების რეაბილიტაცია) 57,9 ათასი ლარი;რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 6467,4 ათასი ლარი;სოფლის მხარდამჭერი პროგრამა 832,0 ათასი ლარი;გრანტი სსიპი -ებიდან 3190,4 ათასი ლარი, აქედან:დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი 1073,2 ათასი ლარი;ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 132,2 ათასი ლარი;სანებართვო მოსაკრებელი 54,7 ათასი ლარი;სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,2 ათასი ლარი;სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1,5 ათასი ლარი;ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 265,3 ათასი ლარი; იჯარის მოსაკრებელი 19,6 ათასი ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავები 1936,7 ათასი ლარი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 130,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლების შედეგად შემოსავალმა 480,5 ათასი ლარი შეადგინა.


მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:


მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები				
დასახელება	გეგმა		ფაქტი	
	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
შემოსავლები	37 961,6	11 024,8	39 012,4	11 750,1
გადასახადები	23 142,0	0,0	23 368,9	0,0
გრანტები	11 289,8	11 024,8	12 015,1	11 750,1
სხვა შემოსავლები	3 529,8	0,0	3 628,3	0,0
ხარჯები	19 921,3	1 308,8	18 449,7	1 275,8
შრომის ანაზღაურება	3 203,2	0,0	3 019,1	0,0
საქონელი და მომსახურება	3 758,2	1 228,2	3 024,0	1 202,4
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	127,5	0,0	127,5	0,0
სუბსიდიები	8 834,1	0,0	8 600,3	0,0
გრანტები	26,0	0,0	24,8	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 872,3	0,0	1 781,8	0,0
სხვა ხარჯები	2 100,0	80,6	1 872,1	73,5
საოპერაციო სალდო	18 040,3	9 716,0	20 562,6	10 474,3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	25 374,0	10 013,6	17 987,0	8 723,6

ზრდა	25 854,0	10 013,6	18 467,5	8 723,6
კლება	480,0	0,0	480,5	0,0
მთლიანი სალდო	-7 333,7	-297,6	2 575,6	1 750,7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-7 585,0	-297,6	2 324,4	1 750,7
ზრდა	0,0	0,0	2 324,4	1 750,7
ვალუტა და დეპოზიტები	0,0		2 324,4	1 750,7
კლება	7 585,0	297,6	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	7 585,0	297,6	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-251,3	0,0	-251,2	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	251,3	0,0	251,2	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	251,3	0,0	251,2	0,0
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000

2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 7586,1 ათასი ლარი.



შემოსულობების ხვედრითი წილი



2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელის შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	38,441.6	11,024.8	27,416.8	39,492.9	11,750.1	27,742.8	102,7
შემოსავლები	37,961.6	11,024.8	26,936.8	39,012.4	11,750.1	27,262.2	102,7
არაფინანსური აქტივების კლება	480.0	0.0	480.0	480.5	0.0	480.5	100
გადასახდელები	46,026.6	11,322.4	34,704.2	37,168.5	9,999.4	27,169.1	80,8
ხარჯები	19,921.3	1,308.8	18,612.5	18,449.7	1,275.8	17,173.9	92,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	25,854.0	10,013.6	15,840.4	18,467.5	8,723.6	9,744.0	71,4
ვალდებულებების კლება	251.3	0.0	251.3	251.2	0.0	251.2	100
ნაშთის ცვლილება	-7,585.0	-297.6	-7,287.4	2,324.4	1,750.7	573.7	

ა) საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	2022 წ გეგმა	2022 წ ფაქტი	%
დამატებული ღირებულების გადასახადი	17,640.0	17,842.2	101,1
ქონების გადასახადი აქედან:	5,502.0	5,526.7	100,4
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,280.0	2,971.5	90,6
უცხოურ პირთა ქონების გადასახადი	680.0	689.9	101,5
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	15.0	41.4	275,9
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	80.0	138.1	172,7
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,447.0	1,685.7	116,5
გადასახადები სულ	23,142.0	23,368.9	101,0

ბ) გრანტები

N	დასახელება	2022 წ გეგმა	2022 წ ფაქტი	%
1	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლა	265,0	265,0	100
2	მიზნობრივი ტრანსფერი მოსწავლეთა ტრანსპორტირების	1202,4	1202,4	100
3	მიზნობრივი ტრანსფერი მფგ	6493,8	6467,4	99,6
4	სპეციალური ტრანსფერი სკოლების რეაბილიტაცია	58,0	58,0	100
5	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	832,0	832,0	100
6	მუნიციპალური განვითარების ფონდი	2438,6	2438,6	100
7	მუნიციპალური განვითარების ფონდი /განახლებული რეგიონები/	751,8	751,8	100
გადასახადები სულ		11289,8	12015,1	106,4

N	თანხა	გრანტის გამოყოფი	გრანტის სახე	გრანტის მიზნობრიობა	გრანტის გამოყოფის საფუძველი	გამოყოფის თარიღი
1	265,0	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლა	დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად	2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი	2022
2	1202,4	საქართველოს განათლებისა და მეცნიერებების სამინისტრო	მიზნობრივი ტრანსფერი მოსწავლეთა ტრანსპორტირების	დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად	„საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N 51 განკარგულებით	2022
3	58,0	საქართველოს განათლებისა და მეცნიერებების სამინისტრო	კაპიტალური ტრანსფერი	სკოლების რეაბილიტაცია	„საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N 51 განკარგულებით	2022
4	6493,8	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	რფგ	საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით	2022
5	832,0	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით,	2022
6	2438,6	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	მუნიციპალური განვითარების ფონდი	საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულება	2021
7	751,8	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	მუნიციპალური განვითარების ფონდი /განახლებული რეგიონები/	საქართველოს მთავრობის დადგენილება N185 2021 წლის 26 აპრილი.	2021

გ) სხვა შემოსავლები

N	დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
1	შემოსავლები საკუთრებიდან	1150.0	1220.3	106.1
	პროცენტები	1010.0	1073.2	106.3
	რენტა	140,0	147,1	105

2	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	327.2	341.3	104.3
	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	305.2	321.7	105.4
	სამხედრო სავალდებულო გადასახადის მოსაკრებელი	02	02	100
	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	00	1,5	
	სანებართვო მოსაკრებელი	50,0	54,7	109,5
	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	255,0	265,3	104
	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	22,0	19,6	89,0
3	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1960,8	1936,7	98,8
4	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	91,8	130,0	141,6
	გადასახადები სულ	3529,8	3628,3	102,8


დ) არაფინანსური აქტივების კლება

N	დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
1	ძირითადი აქტივები	430,0	437,5	101,7
2	მატერიალური მარაგები	50,0	43,1	86,1
	ს უ ლ არაფინანსური აქტივების კლება	480,0	480,5	100,1


2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 37168,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (46026,6) 80,8 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 28243,7)8924,8 ათასი ლარით, ხოლო 2020 წლის (25802,7) 11365,8 –ათასი ლარით.



გადასახდელების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი



პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით				
პროგ. კოდი	დასახელება	2022 გეგმა	2022 ფაქტი	%
სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	46026,6	37168,5	80,8
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5272,1	4579,4	86,9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	23221,9	16868,3	72,6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2052,0	1967,0	95,9
04 00	განათლება	5398,6	5177,3	95,9
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	7346,9	6014,0	81,9
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2735,1	2562,5	93,7

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 4579,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5272,1 ათასი ლარი) 86,9 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: აქედან მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -1033,6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3320,1 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის

სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) –189,0 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა131,9 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი შესრულებულია 19%-ით, აქედან სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-150,0 ათასი ლარი) გახარჯულია 0,0 ათასი ლარი /არ დამდგარა საჭიროება სარეზერვო ფონდის გამოყენების/.

2) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 16868,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (23221,9) 72,6 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	23221,9	16868,3	72,6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	19360,7	14124,3	73,0
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	863,2	511,5	59,3
020202	გზების კაპიტალური შეკეთება	18436,3	13584,5	73,7
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	61,2	28,4	46,4
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2464,3	1823,6	74
02 02 02	ბინათმშენებლობა	847,4	736,9	87,0
02 02 03	წყალმომარაგება	553,1	177,7	32
02 0204	გარეგანათება	266,0	185,5	69,7
020205	გარე განათების მოვლა-პატრონობა	797,8	736,9	92,4
02 03	სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	1073,1	700,1	65,2
02 04	საპროექტო დოკუმენტაციისა და სააშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	323,8	220,4	68,0

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

2022 წლის განმავლობაში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ ზესტაფონში დაიგო

39 კმ ასფალტის საფარი, 141400კვ.მ **ფართობით**, აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი 9000 ბენეფიციარმა მიიღო. რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით

სოფელ მეორე სვირში ცხადაძე მერკვილაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია

სოფელ საწაბლის გზის რეაბილიტაცია

სოფელ პირველ სვირში ცენტრალური გზიდან ჭულუხაძეები ჭურაძეები გეწაძეების გზის რეაბილიტაცია

სანახშირის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (მუხები)
სოფელ ცხრაწყაროში მეორე ქუჩაზე საბავშვო ბაღისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
მეორე სვირში ჯუღელელების უბნის გზის რეაბილიტაცია
სოფელ სვეტმალაში გზის რეაბილიტაცია
სოფელ ქვ საზანოში ე/წ სამცვერაზე ჩასასვლელი გზის რეაბილიტაცია
სოფელ ზოსლევში თავბერების უბნის გზის რეაბილიტაცია
სოფელ ზედა საქარაში ბელღევის გზის რეაბილიტაცია
სოფელ განთიადის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია
სოფელ ქვედა საქარაში აბესაძე გოგიაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია
ქ.ხესტაფონში კვალითის დასახლებაში კაშხლიდან ხოხოულის დასახლებსკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია - გარდამავალი
კლდეეთი ტაბაკინის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (ვარდუკაძეების უბანი) გარდამავალი
სოფელ ზედა საქარაში ჩხეიძე ცერცვაძეების სასოფლო გზის რეაბილიტაცია გარდამავალი
სოფელ კვალითში მე-4 ჩიხის გზის რეაბილიტაცია (ტევრის უბანი)
სოფელ სასახლეში კობახიძე, ჯაფარიძე-აბაშიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია გარდამავალი
სოფელ წიფლაკის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (გაგრძელება)
სოფელ ფუთში ჩიტორელიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია (გაგრძელება) გარდამავალი

საქართველოს მთავრობის დადგენილება N185 2021 წლის 26 აპრილი.

აღმამენებლის ქუჩაზე, ავერსის აფთიაქის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია
უშანგი ჩხეიძის სახელობის თეატრის მიმდებარედ, სკვერისა და ვარინკას სკვერის რეაბილიტაცია

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულება;

ხესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს ვარინკა წერეთლის სახელობის თეატრის რეაბილიტაცია

„საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N 51 განკარგულებით;

N3 საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით:

სოფელ მეორე სვირში დოლაკიძეების უბანში ხიდ-ბოგირის მოწყობა
ქ.ხესტაფონში, დიდგორის და ნიკოლაძის ქუჩის შემაერთებელი გზის პირველი მოსახვევიდან სასაფლაოზე ასასვლელი კიბეების მოაჯირების მოწყობა
ქ.ხესტაფონში, დადიანის ქუჩა #93 საყრდენი კედლის რეაბილიტაცია
სოფელ პირველ სვირში გია კაპანაძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა
კვალითისა და ცხრაწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის მოწყობა
ქალაქ ხესტაფონში (მზიგულის სასაფლაოზე) აფხაზეთში გმირულად დაღუპული სამხედროს ზურაბ გოგის ძე ხომტარიას სასაფლაოს მოპირკეთების სამუშაოები.
ხესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 4 ერთეული ფანჯატურის მოწყობა
სოფელ არგვეთაში მონასტრისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია
კლდეეთის ადმინისტრაციულ ერთეულში კლდეეთი-კინოთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია
ქალაქ ხესტაფონში, ქოჩიაშვილის ქუჩაზე, N3 სახლთან სანიაღვრე არხის მოწყობა N3 გრ/მ-ზე
სოფელ მარტოთუბანში ზედა ბეზიაშვილების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა
ქ.ხესტაფონში კვეკელიძის ქუჩაზე #6 საჯარო სკოლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა
ქ.ხესტაფონში, კლდიაშვილის ქუჩის მიმდებარედ დახურული ცხურის და სანიაღვრე არხის მოწყობა
ქ.ხესტაფონში, თამარ მეფის ქუჩა #14 ეზოზე გამავალი დახურული სანიაღვრე არხის მოწყობა
ქ.ხესტაფონში, გრიშაშვილის ქუჩაზე 22 ნომერთან სანიაღვრე არხის მოწყობა
სოფელ ცხრაწყაროში, სასოფლო გზაზე ჟუჟუნა ჩიხლაძის მიმდებარედ ლითონის ცხურით დახურული ბეტონის კიუვეტის მოწყობა
სოფელ კვალითში, ყოფილი მარნის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა
სოფელ კვალითში, ბერეკაშვილების ქუჩაზე ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა"
სოფელ ზორვეთის და სოფელ საზანოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია
ქ.ხესტაფონში წმინდა ნინოს ქუჩაზე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია
სოფელ ზედა საქარაში სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის მოწყობა
ქ.ხესტაფონში ფარნავაზის N1-ში სტადიონის რეაბილიტაცია "
სოფელ მეორე სვირში თეთრილელედან ტყის მონაკვეთზე მცხოვრები წაქაძეების უბანამდე განათების მოწყობა
მეორე სვირის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ გზაზე მდ.შავგულიდან სოფ. ოზჩის საზღვრამდე გარე განათების მოწყობა "
სოფელ მეორე სვირში იუსტიციის სახლიდან ცინაძეების ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
ქ.ხესტაფონში, უზნაძის პირველ ჩიხში 16 სმ სისქით გზის ბეტონის საფარით მოწყობა"
პირველი სვირის ადმ. ერთეულში ხოხოულის დასახლებიდან მეორე სვირის ადმ. ერთეულის საზღვრამდე არსებულ ბოძებზე გარე განათების მოწყობა.
პირველი სვირის ადმ. ერთეულში მდინარე ყვირილაზე არსებული ხიდიდან სოფლის ცენტრამდე არსებულ ბოძებზე გარე განათების მოწყობა."

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ავარიული ქუჩების და ადმინისტრაციულ ერთეულებში ცენტრალურ გზების მოვლა შენახვის სამუშაოების შესყიდვა

ქ.ზესტაფონში, დასვენებისა და კულტურის პარკის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია

ქ.ზესტაფონში, დავით აღმაშენებლის ქუჩა #29/ა ბინის სადარბაზოს ცენტრალური კარების მოწყობა".

ქ.ზესტაფონში, ბატონიშვილის პირველ ჩიხში ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

ქ.ზესტაფონში, ქეთევან წამებულის ქუჩა პირველ შესახვევში ბეტონის საფარის მოწყობა

ქ.ზესტაფონში, 9 ძმის ქუჩაზე გზის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია

ქ.ზესტაფონში ყოფილი პოლიციის მოპირდაპირედ სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ქ.ზესტაფონში, წერეთლის #8 კორპუსის მიმდებარედ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა.

სოფელ კვალითში ჯვართან საყრდენი კედლის მოწყობა და გზის რეაბილიტაცია.

ქ.ზესტაფონში, უზანძის ქუჩაზე პირველ შესახვევში საყრდენი კედლის რეაბილიტაცია.

ქ.ზესტაფონში, ჩხეიძის მეხუთე შესახვევში (ყოფილი ეთნოგრაფიული კუთხის მიმდებარედ) ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ.ზესტაფონში, თამარ მეფის მეოთხე შესახვევის რეაბილიტაცია სოფელ ზედა საქარაში თავაძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა.

სოფელ ზედა საქარაში თავაძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის მასალების შესყიდვა.

ქ.ზესტაფონში, მიხეილ სალაძის სახელობის სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქ.ზესტაფონში, მეგობრობის ქ. #7 მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქვედა საქარის ადმ ერთეულში ქათამაძეებისა და პატარა ნებიერიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია

კვალითის ადმ ერთეულში კვალითის დასახლებიდან (ყანები) სოფელ კვალითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია

ქ.ზესტაფონში, გრიშაშვილის ქუჩაზე არსებული ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია"

მეორე სვერის ადმ. ერთეულში ჯიკვათირის საუბნო გზაზე ცხაურით დახურული მონოლითური რკინაბეტონის კიუეტის მოწყობა

"ქ.ზესტაფონში, გრიგოლ ხანციელის პირველი შესახვევის ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა .

ქ.ზესტაფონში, გრიგოლ ხანციელის პირველი ჩიხის ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა.

ქ. ზესტაფონში გრ. ხანციელის მეორე ჩიხის ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა.

ქ.ზესტაფონში, გრიგოლ ხანციელის მესამე ჩიხის ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა.

ქ.ზესტაფონში, გრიგოლ ხანციელის მეოთხე ჩიხის ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა.

ქ.ზესტაფონში, გრიგოლ ხანციელის მეხუთე ჩიხის ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა "

ექვსი კომპლექტი გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების შესყიდვა თანმდევი მონტაჟით.

საბავშვო ატრაქციონის შესყიდვა თანმდევი მონტაჟით.

"კვალითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარამაძე-ვარდოსანიძეების უბანში საუბნო გზის რეაბილიტაცია

ცხრაწერის ადმ ერთეულში აბანოს გზაზე ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა

გრ. ხანციელის მეექვსე ჩიხის რეაბილიტაცია"

ქ. ზესტაფონში ნიკო ნიკოლაძის მეორე ჩიხის რეაბილიტაცია

ქ. ზესტაფონში აღმაშენებლის ქ. #1-ის მე-5 შესახვევში შ.შ.მ პირებისთვის სკვერის მოწყობა"

სოფელ ცხენთაროში სულამანიძეების უბანში გზის ბეტონის საფარით მოწყობა

ქ.ზესტაფონში, ჩხეიძის ქუჩის მე-6 შესახვევის გზის რეაბილიტაცია"

სოფელ დილიკაურში ზედა ცერცვაძეების გზის რეაბილიტაცია

სოფელ დილიკაურში ქვაგატეხილის უბანში გზის რეაბილიტაცია

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებელი (სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების ზომით 500X500X45 მმ მონტაჟი) სამუშაოები.

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები					
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2020 საბაზისო მაჩვენებელი	2021 დადგეგმილი მაჩვენებელი	2021 მიღწეული მაჩვენებელი	ცთომილება	ცთომილების განმარტება

გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა სამუშაოები	2020 წელს მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 48000 კვ/მ გზას; მათ შორის ასფალტირებული გზა 33200 კვ/მ; არასფალტირებული - 14800 კვ/მ. 2020 წელს მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 48000 კვ/მ გზას; მათ შორის ასფალტირებული გზა 33200 კვ/მ; არასფალტირებული - 14800 კვ/მ	35 000 კვ/მ	39 000 კმ	11	
შეკეთებული გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2020 წელს ფარგლებში განახლებული გზებით სარგებლობს დაახლოებით 3400 პირდაპირი და 8800 არაპირდაპირი ბენეფიციარი.	9000	9000	0-0000000	

ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 02)

მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათსაკუთრებათა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ საერთო სარგებლობის ქონების დამოუკიდებლად მოვლა-პატრონობას და განვითარებას. მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ქ. ზესტაფონის მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადების, სადარბაზოების, სარდაფების, სახურავების რეაბილიტაცია.

ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები: აქედან:

- ქ. ზესტაფონში, აღმაშენებლის ქუჩა #57 ეზოს ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა
- აღმაშენებლის ქუჩა #59 ეზოს ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა
- ფარნავაზის #1 ეზოს ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა
- ქ. ზესტაფონში, გიორგი ჭანტურის ქუჩა #5- დან მეგობრობის ქუჩის 7 ნომრამდე გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა"
- კვალითის დასახლება ჩიკაშუას #10 ეზოს ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა
- ჩიკაშუას #11 ეზოს ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა
- შათირიშვილის #7 ეზოს ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა
- შათირიშვილის ქუჩა #27 ეზოს ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა
- შათირიშვილის ქუჩა #5 ეზოს ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა
- მაღლაკელიძის #7 ეზოს ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა
- მაღლაკელიძის ქუჩა #13 ეზოს ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა
- ჩიკაშუას ქუჩა #1 ასფალტო ბეტონის საფარით ეზოს მოწყობა
- ქ. ზესტაფონში აღმაშენებლის ქ.#53-ში ეზოს რეაბილიტაცია

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის მასალების შესყიდვა, აქედან:

1. ამხანაგობა „სხივი“ ქვედა საქარის ადმინ. ერთეული, ს.არგვეთა, სტაროსელსკის ქ. # 85 დ
2. ამხანაგობა „სანდო“ დაბა შორაპანი, ჭიათურის ქ. # 6 ; 17
3. ამხანაგობა „სოლიდარობა“ ქ. ზესტაფონი, გაი აბესაძის ქ. # 73
4. ამხანაგობა „ერთობა-2“ ქ. ზესტაფონი, შათირიშვილის ქ. # 19
5. ამხანაგობა „ნანა“ ქ. ზესტაფონი, ჩიკაშუას ქ. # 6
6. ამხანაგობა „მეგობრობა-ერთობა“ ქ. ზესტაფონი, რევაზ ლალიძის ქ.# 17
7. ამხანაგობა „ერთობა - 2017“ ქ. ზესტაფონი, შათირიშვილის ქ. # 1,1-ლი სადარბაზო

ბ.ა) წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 02 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის რეაბილიტაცია, სოფლად ახალი ჭაბურღილების გაწმენდა და ახალი წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფა;

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა

გ/განათება

- ქ. ზესტაფონში 9 ძმის ქუჩაზე სავალი ნაწილის გარე განათების მოწყობა
- ქ. ზესტაფონში ჩხეიძის ქუჩაზე მე-3 ჩიხის (არსებულ საყრდენებზე) გარე განათების მოწყობა.
- ქვედა საქარის ადმინისტრაციულ ერთეულში ბარბაქაძეების უბანში გარე განათების მოწყობა
- ქვედა საქარის ადმინისტრაციულ ერთეულში დიდი ნებიერიძეების უბანში გარე განათების მოწყობა

• სოფლის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 03 01)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1967,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,9 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1580,3 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, /020205 კოდი- 723,6 ათასი ლარი- გარე განათების მოვლა პატრონობას/, 111,5 ათასი ლარი-კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარებას, 9,1 ათასი ლარი -უპატრონო ცხოველების მოვლის ღონისძიებებს,266,2 ათასი ლარი -მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები და ურნები).

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2052,0	1967,0	95,8
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2257,3	2146,5	95,1
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1655,9	1580,3	95,4
02 02 05	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია	797,8	723,6	90,6
03 01 03	კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	118,8	111,5	93,9
03 01 04	უპატრონო ცხოველების მოვლის ღონისძიებები	11,1	9,1	82,0
03 02	მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები და ურნები)	266,2	266,2	100

ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის მიერ ყოველდღიურად ხდება ქალაქის 16 ქუჩის, 11 სკვერის, 1 პარკის დაგვა-დასუფთავება, 120-150 მ3 საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ქალაქის 90 ქუჩაზე და 2 მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის (ბუნკერი) მცხოვრები მოსახლეობიდან. ვემსახურებით ზესტაფონი-ხარაგაულის, ზესტაფონი-ჭიათურის, ზესტაფონი- ბადადის მაგისტრალს (პერიოდულად ტარდება დასუფთავების აქციები) და 11 სკვერის, 1 პარკის, 7 ეკლესიის ეზოში, მუნიციპალიტეტის სოფლებში (სოფ. ზედა საქარა, სოფ. ქვედა საქარა, სოფ. ქვედა საზანო, სოფ. ბოსლევი, სოფ. პირველი სვირი (ხოხოულის დასახლება, სოფ. პირველი სვირის ხიდი), სოფ. მეორე სვირი ნაწილობრივ, სოფ. არგვეთა „წყაროებამდე“ და შაორგესის დასახლება, სოფ. შრომა). მუნიციპალიტეტის სოფლებში (სოფ. არგვეთა, სოფ. ბოსლევი, სოფ. შრომა) არსებულ მინი სტადიონებზე, სოფ. მეორე სვირში და შორაპანში არსებულ იუსტიციის სახლებზე დამონტაჟებულ გარე განათებას.

ვემსახურებით მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე კერძო მესაკუთრეებიდან და ინდ.მეწარმეებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, მათთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ყოველდღიურად ვაწარმოებთ სერვის ცენტრის ბალანსზე რიცხული სპეცტექნიკის გამოყენებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების საავტომობილო, ფეხით სავალ ადგილებზე, ხიდებზე მოყრილ იქნა ტექნიკური მარილი.

ზარის მეთოდის გამოყენებით ვემსახურებით ნაწილობრივ სოფლების და ქალაქის კერძო დასახლებულ უბნებში მცხოვრებ მოსახლეობას 4 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანის საშუალებით, რომელიც არის მოძველებული ტექნიკა. გამართული და ნორმალური ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეძენილ იქნას 3 ერთეული ნაგავზიდი 13+1 მ3, 1 ერთეული ნაგავზიდი 6+1 მ3, 2 ერთეული თვითმცლელი 10-20 მ3-მდე მოცულობის, 1 ერთეული მსუბუქი სატვირთო თვითმცლელი (დუბლ კაბინით), 250-300 ცალი ნაგვის კონტეინერი 1 მ3 მოცულობის, 100 ცალი დეკორატიული (მეტალის) ურნა, 1 ერთეული ექსკავატორი - დამტვირთველი (მრავალფუნქციური ტრაქტორი).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში პერიოდულად ტარდება დასუფთავების აქციები. 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე გატანილი იქნა 12615,84 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი. გარდა ამისა, ააიპ სერვის-ცენტრის სპეც-ტექნიკის გამოყენებით მუშა მოსახლეობა გაიტანეს მოსახლეობის მიერ ქუჩაში დაყრილი სარემონტო-სამშენებლო ნაგავი.

სერვის ცენტრის მიერ განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზის ნაპირების, ხიდებსა და სკვერებში ნალექის შედეგად დაგროვილი შლამის მოფხევა და გატანა, სკვერებში და პარკებში ნალექის შედეგად მოტეხილი ხის ტოტების ჩამოხევა და გატანა.

მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი მრავალწლიანი მწვანე ნარგავებისა და გაშენებული (ხანდაზმული, გამხმარი, ავარიული) ნარგავების შეფასებისათვის შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული შეფასების შემდეგ სერვის ცენტრი ახდენს გამხმარი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბეღვას, რომლებიც ურიგდება სოციალურად დაუცველ ოჯახებს საშემედ. ასევე სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ საექიმო ამბულატორიებს საშემედ გადაეცა და განვლილი 12 თვის მანძილზე განაწილდა 643,5 მ3 საშემედ მასალა.

ყოველდღიურ რეჟიმში ვაწარმოებთ სარემონტო სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, სკვერების, მინი სტადიონების ღამის განათებებზე, ღამის განათების კუთხით. წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მოხდა ქალაქის სხვადასხვა ქუჩებსა და უბნებზე, სოფლებშიც ღამის განათების მეორადი სანათი ფარების დამატება.

გარდა ამისა ღამის განათების რკინის ბომბებზე ეტაპობრივად ხდება ელ. შედუღებითი და სამღებრო სამუშაოების ჩატარება.

სერვის ცენტრის მიერ ხორციელდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის და მუნიციპალიტეტის სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლირება, კერძოდ: მოხეტიალე ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის მომსახურების შესყიდვა და შესაბამისი მომსახურების გაწევა. ელექტრონული ტენდერში გამოვლენილი გამარჯვებული შემსრულებლის მიერ 12 თვის მანძილზე თავშესაფარში ტენდერის პირობების შესაბამისად გადაყვანილი იქნა 70 სული უმეტესწილად დარჩენილი ძაღლი.

სერვის-ცენტრი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სოფლის ჩიხებსა და გზებზე ახდენს სპეც-ტექნიკით, ექსკავატორით სხვადასხვა სახის ღორღით მოსწორებით და გაწმენდით სამუშაოებს.

აგრეთვე ვასრულებთ ბევრ გაუთვალისწინებელ სამუშაოებს.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 5177,3 ათასი ლარის ოდენობით, რაც გვემის - 5398,6 ათასი ლარი, 95,9 პროცენტია.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	5398,6	5177,3	95,6
04 01	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	3683,0	3671,5	99,7
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა	395,6	186,5	47,2
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	43,8	43,1	98,4
04 04	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	1202,4	1202,4	100,0
04 05	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა	73,8	73,8	100,0

ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ზესტაფონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შედის 41 სტრუქტურული ერთეული. 77 ასაკობრივ ჯგუფში 462,25 შტატზე დასაქმებულია 526 თანამშრომელი.

2022 წლის ბიუჯეტის წლიური გეგმა შეადგენს 3683000 ლარს. გაერთიანების ხელფასის წლიური ფონდი შეადგენს 2785700 ლარს. წლიური შედეგებით შრომის ანაზღაურებაზე გაიცა 2785305 ლარი, საახალწლოდ ჯილდო/პრემიის გასაცემად გამოყოფილი 162200 ლარიდან გაიცა 161879 ლარი. სამედიცინო ფურცელზე გეგმით გამოყოფილი 10500 ლარიდან თორმეტ თვეში ფაქტიურად გაიცა 10401 ლარი. მივლინების წლიური გეგმა შეადგენს

1700 ლარს, მივლინების მუხლში წლიურმა ხარჯვამ შეადგინა 1618 ლარი.

წლიური საოფისე ხარჯი შეადგენს 232700 ლარს. წლიური შედეგებით ათვისებულია 225217 ლარი. კერძოდ: შეძენილია 8117 ლარის საკანცელარიო საქონელი, 19087 ლარის მცირე ფასიანი საოფისე ინვენტარი და მოწყობილობები, სარეცხი და ჰიგიენური საშუალებების შეძენისათვის 7526 ლარი, კავშირგაბმულობის და კომუნალური ხარჯისათვის გახარჯულია 190487 ლარი.

